განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## ზოგადი განათლების დაწყებითი I საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

## ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
5-6 ივლისი

ანგარიშის წარდგენის თარიღი
3 აგვისტო

თბილისი
2018

## უმაღლესი სასწავლო დაწესებულების (უსდ) საინფორმაციო პროფილი

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| უსდ-ს საიდენტიფიკაციო კოდი | 245428158 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## უმაღლესი განათლების პროგრამის საინფორმაციო პროფილი

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ზოგადი განათლების დაწყებითი I საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა |
| განათლების დონე | მაგისტრი |
| მინიჭებული კვალიფიკაცია, კვალიფიკაციის კოდის მითითებით | განათლების მაგისტრი |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 300 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | ახალი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი და გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | მილან პოლი, მასარიკის უნივერსიტეტი, ჩეხეთის რესპუბლიკა |
| წევრი (სახელი და გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ქეთევან თოდაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი და გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ეკატერინე კვირიკაშვილი (დამსაქმებლის ექსპერტი) |

| | |
|---|---|
| წევრი (სახელი და გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ანჟელა აბულაძე (სტუდენტი ექსპერტი) |
| წევრი (სახელი და გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | |

## აკრედიტაციის შესახებ დასკვნის შეჯამება

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

პროგრამა წარდგენილ იქნა, როგორც ახალი პროგრამა, თუმცა, ნაწილობრივ, იგი ემყარება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის უკვე არსებულ გამოცდილებას, რომელიც შეიძინა დაწყებითი მასწავლებლის განათლების საბაკალავრო პროგრამის და ზოგიერთი სხვა შესაბამისი პროგრამის განხორციელებისას.

პროგრამა აგებულია ლოგიკურად, მისი ძირითადი კომპონენტები კარგადაა გააზრებული და მათ აქვთ კარგი შესაძლებლობა, გამოყენებულ იქნენ პროგრამის ეფექტიან საყრდენებად (მიზნები, სწავლის შედეგები, შინაარსი და სტრუქტურა, სწავლების მეთოდები და მეტი).

სტუდენტური მომსახურებები პრინციპში სათანადოდ შემუშავებულია და ჩვენ შეგვიძლია ველოდოთ,რომ ისინი უზრუნველყოფილი იქნება, და შრომითი რესურსებიც საკმარისია, მოცემული მომენტისთვის, პროგრამის განსახორციელებლად. იგივე შეიძლება ითქვას მატერიალური რესურსების შესახებ, ბიუჯეტის ჩათვლით. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები კარგადადა მომზადებული მთელი პროგრამის მხარდასაჭერად.

- **აკრედიტაციის მიზნით ადგილზე ვიზიტის მოკლე მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფის მუშაობა დაიწყო ადგილზე ვიზიტამდე რამდენიმე კვირით ადრე - ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა თვითშეფასების ანგარიში და შესაბამის პროგრამასთან დაკავშირებული ბევრი სხვა დოკუმენტი, და მან ეს მასალები შეისწავლა. ამ წინასწარი შესწავლის პერიოდის შემდეგ, ჩვენ, ექსპერტთა ჯგუფის წევრებს გვქონდა შესაძლებლობა, ჩაგვეტარებინა შეხვედრა თბილისში, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) შენობაში 2018 წლის 2 ივლისს- ჩვენ გამოვიყენეთ NCEQE-ის პერსონალის მიერ წარმოდგენილი სასარგებლო ინფორმაცია სასწავლო პროგრამის აკრედიტაციის განყოფილებიდან და ადგილზე ვიზიტისთვის მოვამზადეთ უფრო დეტალური დღის წესრიგი.

თავად ადგილზე ვიზიტი გაიმართა 2018 წლის 5 და 6 ივლისს. მთლიანი ვიზიტის განმავლობაში, ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა, გავსაუბრებოდით უნივერსიტეტის (და არა მარტო) პერსონალის ყველა შესაბამის ჯგუფს. კონკრეტულად, ჩვენ გავესაუბრეთ უნივერსიტეტის უმაღლესი ხელმძღვანელი რგოლის წარმომადგენლებს (რექტორისა და კანცლერის ჩათვლით), თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელს, ფაკულტეტის

წევრებს, მოწვეულ რექტორებს, დამსაქმებლებს და სტაჟირების ხელმძღვანელებს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, ხარისხის უზრუნველყოფის მოხელეებს, დეკანს,. ჩვენ მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობა გვქონდა შენობების დათვალიერების, რადგან იქ იმართებოდა ცენტრალიზებული ეროვნული გამოცდები, აგრეთვე, ტარდებოდა გარკვეული სარეკონსტრუქციო სამუშაოები. ამ შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფი უმთავრესად დაეყრდნო ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელის გამოცდილებას, რომელიც ამ უნივერსიტეტს ეწვია 2018 წლის მაისის ბოლოს მის ინსტიტუციურ შეფასებასთან დაკავშირებით- მაშინ ობიექტები გულდასმით შემოწმდა და ექსპერტთა ჯგუფი ერთხმად შეთანხმდა იმაზე, რომ ისინი თავიანთ მიზანს ძალიან კარგად ემსახურებოდნენ. ამ შემთხვევაში იგივე შეიძლება ითქვას შესაბამის პროგრამაზე. მთლიანი ვიზიტის განმავლობაში, ჩვენ დახმარება აღმოგვიჩინეს NCEQE-ს წარმომადგენლებმა.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მთლიანი პროცედურა დაგვეხმარა პროგრამის საკმაოდ კარგად გაცნობაში და მის შეფასებაში NCEQE-ის მიერ შემუშავებული და გამოყენებული სტანდარტების მიხედვით.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის რეზიუმე

  სტანდარტი 1 - შეესაბამება მოთხოვნებს

  სტანდარტი 2 - შეესაბამება მოთხოვნებს

  სტანდარტი 3 - შეესაბამება მოთხოვნებს

  სტანდარტი 4 - შეესაბამება მოთხოვნებს

  სტანდარტი 5 - შეესაბამება მოთხოვნებს

- რეკომენდაციების რეზიუმე
  - კურსის განმავლობაში, სტუდენტები შეისწავლიან ინგლისურ ენას A1-დან B2 დონემდე, თუმცა, მათი ცოდნა ინგლისური ენის კომუნიკაციისთვის საკმარისი არ არის. სტუდენტების მიერ ინგლისური ენის ფლობის უნარ-ჩვევების ხარისხის ხაზგასმა.
  - პერსონალისთვის უფრო სისტემატიური სწავლების ჩატარება კვლევის უნარ-ჩვევებსა და ინგლისური ენის ფლობის უნარ-ჩვევების კუთხით.

- რჩევათა შეჯამება
  - რეგიონულ სკოლებთან (და არა მხოლოდ ბათუმში მდებარე სკოლებთან) მემორანდუმების დადება და გამოყენება (აქცენტი კეთდება სტუდენტების სასკოლო პრაქტიკის სფეროში თანამშრომლობაზე).
  - ხელმძღვანელებისთვის სისტემატიური სწავლების ჩატარება.

- მეტი აქცენტის გაკეთება ინტერნატიონალიზაციის ხარისხის უზრუნველყოფასა და ადმინისტრაციული პერსონალის მუშაობაზე.
- აქცენტის გაკეთება სწავლების უნარ-ჩვევებში პერსონალის უწყვეტ სწავლებაზე.

- საუკეთესო პრაქტიკების რეზიუმე (გამოყენების შემთხვევაში)
  - მაგალითად, უნივერსიტეტის ელექტრონული პორტალი, რომელიც ძირითადად აქცენტირებულია კარიერის განვითარების შესაძლებლობებზე და უმთავრესად ემსახურება სტუდენტებს, აგრეთვე კურსდამთავრებულებს, შეიძლება მოყვანილ იქნეს საუკეთესო პრაქტიკის მაგალითად, განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს პორტალი ახერხებს უნივერსიტეტის სხვა ელექტრონულ საშუალებებთან ინტეგრირებას და ეს უზრუნველყოფს უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის კომპლექსურ მხარდაჭერას.

- აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევებისა ან/და პროგრესის რეზიუმე (გამოყენების შემთხვევაში)

## პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამით მკაფიოდაა განსაზღვრული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზანსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება რეგულარულად პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები განსაზღვრავენ იმ ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების კომპლექსს, რომელთა მაგისტრატურის სტუდენტებისთვის განვითარებასაც ისახავს მიზნად ეს პროგრამა. ისინი აგრეთვე ახდენენ დარგისა და საზოგადოების განვითარებაში შეტანილი წვლილის ილუსტრირებას. |
| **სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი შეჯამება და ანალიზი**<br><br>დაწყებითი მასწავლებლის სწავლების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს უზრუნველყოს მასწავლებლების მაღალი კვალიფიკაცია, შემოქმედებითი უნარები და გაცნობას სწავლებისა და სწავლის თანამედროვე თეორიებთან. სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს ეროვნული და საუნივერსიტეტო ღირებულებების მქონე პირის განათლება, იმ პირის, რომელსაც შეუძლია ყოველდღიური ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების გამოყენება, რაც იწყება დაწყებითი სკოლიდან. პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება აუცილებელი პროფესიული სტანდარტები და კომპეტენციები პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად-თეორიული ცოდნა, პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ღირებულებები, მასწავლებების მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების განხორციელების შესაძლებლობა; ის შეძლებს შეაფასოს და გააანალიზოს სიტუაცია/ინფორმაცია/მონაცემები სათანადო მეთოდების გამოყენებით, გაიაზროს პრობლემების მიზეზები, შედეგები და მათი ურთიერთკავშირი და მიიღოს გადაწყვეტილებების თავისი კომპეტენციის ფარგლებში, განახორციელოს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია დარგთან დაკავშირებული სწორი ტერმინოლოგიის გამოყენებით, გამოიყენოს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და კომპიუტერული პროგრამები, პროფესიული განვითარება და ასე შემდეგ. პროგრამა მნიშვნელოვანია მთელი აჭარის რეგიონისთვის, რადგან დაწყებითი კლასების მასწავლებლებზე ძალიან დიდი მოთხოვნა არსებობს. ადგილობრივ დამსაქმებლებს (სკოლის დირექტორებს) კარგი შთაბეჭდილებები აქვთ დაწყებითი კლასების მასწავლებლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებზე, რაც მკაფიოდ არის ნაჩვენები ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე დადებულ დამსაქმებლის კვლევაში. პროგრამის მიზნები სრულად შეესაბამება ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას. ეს მისია მდგომარეობს მაღალკვალიფიციური, კონკურენტული სპეციალისტების მომზადებაში, რომლებსაც აქვთ ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადაპტირების უნარი და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისი კომპეტენციები; რომლებიც იქნებიან თავისუფალი პიროვნებები, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით, ჰუმანიზმის და დემოკრატიის პრინციპებისა და ლიბერალური ღირებულებების მატარებლები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |

- დაწყებითი სკოლის მასწავლებლების მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია
- ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://bsu.edu.ge
- დამსაქმებლის გამოკითხვის შედეგები https://bsu.edu.ge/sub-27/page/2-62/index.html

**რეკომენდაციები:**

- წინადადება (წინადადებები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების შესასრულებლად

**რეკომენდაციები პროგრამის შესამუშავებლად:**

- არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის შესამუშავებლად

**საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტიანია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

**აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი**

- მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი, რომელსაც პროგრამა აღწევს წინა აკრედიტაციის შემდეგ (გამოყენების შემთხვევაში)

**შეფასება**

გთხოვთ, მონიშნოთ უჯრა, რომელიც ყველაზე უკეთ აღწერს თქვენს პოზიციას პროგრამებთან დაკავშირებით სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან შესაბამისობა

**X მოთხოვნებს შეესაბამება**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2. პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგებში აღწერილია ის ცოდნა, უნარ-ჩვევები ან/და პასუხისმგებლობის გრძნობა და ავტონომია, რომელსაც სტუდენტი იღებს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების საფეხური შედგება მონაცემთა განსაზღვრის, შეგროვებისა და ანალიზისგან;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის დასახვეწად.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი შეჯამება და ანალიზი**

- ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათებლო პროგრამის სწავლის შედეგები კარგადაა განსაზღვრული. მიღწევის შემთხვევაში მათ კურსდამთავრებულები უნდა უზრუნველყონ აუცილებელი კომპეტენციებით კომპლექსურ სასწავლო პროფესიაში მოღვაწეობისთვის სკოლაში და მის ფარგლებს გარეთ და წარმატებას მიაღწიონ შრომის ბაზარზე. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები შეესაბამება განათლების სათანადო დონეს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს საფუძველზე მასწავლებლის განათლების სექტორის კრიტერიუმებს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების საფეხური კარგადაა აღწერილი და ის მოიცავს მონაცემთა განსაზღვრას, შეკრებასა და აგრეთვე ანალიზს. უნივერსიტეტმა/პროგრამამ შეიმუშავა სწავლის შედეგების რუქა და აგრეთვე იმის შეფასების დიფერენცირებული რუქა, მიიღწევა თუ არა სწავლის შედეგები და რა მასშტაბით. მრავალმხრივი შეფასების მექანიზმი მოიცავს სხვადასხვა მეთოდებს (დაკვირვება, შედეგების ანალიზი, გამოკითხვები და ა.შ.) და გეგმის მიხედვით, ამ პროცესში საჭიროა ხარისხის უზრუნველყოფის პერსონალის, აკადემიკოსების, სტუდენტების, დამსაქმებლების და აგრეთვე კურსდამთავრებულების ჩართვა. ეს გეგმა არის ქმედითუნარიანი და პოტენციურად ეფექტიანი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- დაწყებითი სკოლის მასწავლებლების მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან
- სკოლებთან გაფორმებული მემორანდუმები
- დამსაქმებლის გამოკითხვის შედეგები, და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები https://bsu.edu.ge/sub-27/page/2-62/index.htm

| |
|---|
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება (წინადადებები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ სტანდარტების მოთხოვნების შესასრულებლად |
| **რეკომენდაციები პროგრამის შესამუშავებლად:**<br><br>არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის შესამუშავებლად |
| **საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტიანია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის |
| **აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევა ან/და პროგრესი, რომელსაც პროგრამა აღწევს წინა აკრედიტაციის შემდეგ (გამოყენების შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>გთხოვთ, მონიშნოთ უჯრა, რომელიც ყველაზე უკეთ აღწერს თქვენს პოზიციას პროგრამებთან დაკავშირებით სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>**X მოთხოვნებს შეესაბამება**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | არსებითად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაშ ი მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი | X | | | |

| შესაბამისობა პროგრამასთან | | | | |
|---|---|---|---|---|

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების სათანადო შეფასება

პროგრამაში ჩარიცხვის წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლისა და სწავლების მეთოდები და სტუდენტს შეფასება უზრუნველყოფენ პროგრამის მიზნებისა და სწავლის დასახული შედეგების მიღწევას.

| 2.1. პროგრამაში ჩარიცხვის წინაპირობები |
|---|
| უმაღლესი განათლების დაწესებულებას გააჩნია პროგრამაში ჩარიცხვის შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი შეჯამება და ანალიზი**<br><br>მონიტორინგის ფარგლებში, პროგრამის მიხედვით, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის“ წარდგენით, საგანმანათლებლო პროგრამაში ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლოთ განსაზღვრული წესით და შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის დადგენილებით N 111 დამტკიცებული ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის პროცესის რეგულაციებით.<br>დაინტერესებულმა პირმა, სამ ძირითად ეროვნულ გამოცდასთან ერთად, უნდა გაიაროს მეოთხე გამოცდა, რომლისთვისაც მან უნდა აირჩიოს ქვემოთ მოცემული საგნებიდან ერთ-ერთი: ქართული ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, ბიოლოგია, სამოქალაქო განათლება, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება. ჩამოთვლილი საგნების მრავალფეროვნება განისაზღვრება პროგრამის სპეციფიკით და მხედველობაში მიიღება ის ფაქტი, რომ ამ საგნების ცოდნა სტუდენტს დაეხმარება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში. ინფორმაცია პროგრამაში მიღების მოთხოვნებზე საჯაროა და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.<br>მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში, თვითშეფასების დოკუმენტში წარდგენილი ინფორმაცია დადასტურდა ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და სტუდენტებთან ინტერვიუების დროს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |

- 2015 წლის 8 ოქტომბრის ბრძანებულება N 111 სასწავლო პროცესის რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ.
- საგანმანათლებლო პროგრამა (მიღების მოთხოვნები);
- ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- https://bsu.edu.ge/main/page/9758/index.html
- ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- https://bsu.edu.ge/main/page/9750/index.html
  საინფორმაციო ბუკლეტები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება (წინადადებები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების შესასრულებლად

**რეკომენდაციები პროგრამის შესამუშავებლად:**

არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის შესამუშავებლად

**საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტიანია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

**აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი**

- მნიშვნელოვანი მიღწევა ან/და პროგრესი, რომელსაც პროგრამა აღწევს წინა აკრედიტაციის შემდეგ (გამოყენების შემთხვევაში)

**შეფასება**

გთხოვთ, მონიშნოთ უჯრა, რომელიც ყველაზე უკეთ აღწერს თქვენს პოზიციას პროგრამებთან დაკავშირებით სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან შესაბამისობა

**X მოთხოვნებს შეესაბამება**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ს განათლების პროგრამების დაგეგმვის, შედგენისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაში მიღების წინაპირობებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრულია და ლოგიკური. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფენ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი შეჯამება და ანალიზი**

მონიტორინგის ფარგლებში, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის“ მიხედვით, პროგრამა მოიცავს 300 კრედიტს. მათ შორისაა დაწყებითი საფეხურის ობიექტის/სუბიექტების ჯგუფის მეთოდოლოგიურ სასწავლო კურსებზე ზოგადი განათლების 195 კრედიტი (180 კრედიტი-სავალდებულო, 15 კრედიტი - არჩევითი მოდული) და 60 კრედიტი სასკოლო პრაქტიკისა და პრაქტიკული კვლევის მოდულისთვის (30 კრედიტი - პრაქტიკა, 30 კრედიტი - კვლევის კომპონენტი); 45 კრედიტი - თავისუფალი მოდულის კომპონენტები (35 კრედიტი - 10 კრედიტი სავალდებულო და არჩევითი - თავისუფალი არჩევითი კურსის/მოდულისთვის). პროგრამის შინაარსი შეესაბამება ზოგადი განათლების დაწყებითი მასწავლებლის კვალიფიკაციებს. სავალდებულო კურსები (180 კრედიტი) ამზადებენ სტუდენტებს 1-4-ე კლასებში ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგანთა ჯგუფის სწავლებისთვის.

არჩევითი მოდულის ფარგლებში (15 კრედიტი), სტუდენტი შეძლებს მე-5-6 კლასებში ასწავლოს ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა ან საბუნებისმეტყველო საგნები. თავისუფალი კომპონენტისთვის 45 კრედიტი იყოფა ორნაირად - სავალდებულო არჩევითი (30 კრედიტი) და თავისუფალი არჩევითი (15 კრედიტი) სასწავლო კურსები; სტუდენტი ნუსხიდან ირჩევს სასურველ კურსებს.

სასკოლო პრაქტიკის ფარგლებში, კურსის სასწავლო პროგრამაში მოცემული ღონისძიებების გარდა, სტუდენტი ატარებს ექსპერიმენტულ გაკვეთილებს 1-4-ე კლასებში ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში და 5-6-ე კლასებში- შესაბამის საგანში. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი არის თანამიმდევრული და ის ლოგიკურადაა გაერთიანებული პროგრამის თანამიმდევრულ სტრუქტურაში.

საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი მოიცავს სამაგისტრო დისერტაციას, რომლისთვისაც სტუდენტს მოეთხოვება მოამზადოს თეორიული მასალა, პრაქტიკული კვლევა და სათანადო დასკვნები. სამაგისტრო დისერტაციის დაცვა ხდება კომისიის წინაშე. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი შეესაბამება განათლების სამაგისტრო საფეხურს.

პროგრამა ყველა დაინტერესებული პირისთვის არის ხელმისაწვდომი. პროგრამის ანოტაცია და სასწავლო პროგრამა იდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

| |
|---|
| შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება განათლების მაგისტრის კვალიფიკაციას და ის უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში, თვითშეფასების დოკუმენტში წარდგენილი ინფორმაცია დადასტურდა ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და სტუდენტებთან ინტერვიუების დროს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის ბრძანებულება N 37 ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი აკადემიური განათლების პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესების დამტკიცების შესახებ.<br>o ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 11 იანვრის ბრძანებულება N 02 ზოგიერთი საგანმანათლებლო პროგარმის შემუშავებისთვის სამუშაო ჯგუფების შექმნის შესახებ;<br>o ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 18 იანვრის ბრძანებულება N 01-08/11 ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის სასწავლო პროგრამის კომიტეტისა და სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;<br>o საჯარო სამართლის იურიდიული პირის- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 27 ივლისის N 6 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის წესი;<br>o ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისაკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის ბრძანებულება N 112 საჯარო სამართლის იურიდიული პირის- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი აკადემიური განათლების პირველი და მეპრე საფეხურის პროგრამების განხორციელებისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ;<br>o https://bsu.edu.ge/sub-27/page/2-62/index.html<br>o საგანმანათლებლო პროგრამა;<br>o სასწავლო კურსების სასწავლო პროგრამები;<br>o ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი http://www.bsu.edu.ge |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება (წინადადებები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების შესასრულებლად |

| |
|---|
| **რეკომენდაციები პროგრამის შესამუშავებლად:**<br><br>არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის შესამუშავებლად |
| **საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტიანია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის |
| **აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევა ან/და პროგრესი, რომელსაც პროგრამა აღწევს წინა აკრედიტაციის შემდეგ (გამოყენების შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>გთხოვთ, მონიშნოთ უჯრა, რომელიც ყველაზე უკეთ აღწერს თქვენს პოზიციას პროგრამებთან დაკავშირებით სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>**X მოთხოვნებს შეესაბამება**<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| ## 2.3 კურსი |
|---|
| ➢ თითოეული სავალდებულო კურსის სტუდენტის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან; ამის გარდა, თითოეული კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სასწავლო პროგრამაში ჩამოთვლილი სასწავლო მასალები ეფუძნება დარგში არსებული ძირითად მიღწევებს და უზრუნველყოფენ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი შეჯამება და ანალიზი**<br><br>მონიტორინგის ფარგლებში, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის“ მიხედვით, სასწავლო პროგრამის კომიტეტი ითხოვს საცდელი ლექციის/ჯგუფური მუშაობის ან სხვა ღონისძიების ჩატარებას, ამოწმებს სასწავლო მასალებს და მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, აფასებს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოს და ა.შ. ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, სასწავლო პროგრამის კომიტეტი სამუშაო ჯგუფს აძლევს რეკომენდაციასა და გონივრულ ვადას მათ აღმოსაფხვრელად. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების მიზანია იმის |

უზრუნველყოფა, რომ მათი მიზანი, სწავლის შედეგები და სწავლების მეთოდები შეესაბამებოდნენ საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებსა და სწავლის შედეგებს. ძირითადი სასწავლო კურსები ერთმანეთისგან არის მიღებული, ისინი შეესაბამება შინაარსს და აქცენტირებულია დარგობრივი კომპეტენციებისა და პრაქტიკაში თეორიული ცოდნის გამოყენების უნარ-ჩვევის განვითარებაზე. ზოგადი განათლების საწყისი საფეხურისთვის ინტეგრირებული საბაკალავრიატო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მასწავლებლის სწავლების სწავლის შედეგების განსაზღვრა ხდება დარგობრივი მახასიათებლების მეშვეობით, ხოლო სასწავლო კურსებისა- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მეშვეობით. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულმა სამუშაო ჯგუფმა განსაზღვრა საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები. მათი ერთიანობა მიზნად ისახავს ბოლო კურსის სტუდენტისთვის აუცილებელი დარგობრივი კომპეტენციების განვითარებას და ის წარმოადგენს ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და ღირებულებების კომბინაციას. სამუშაო ჯგუფმა, კურსის განმახორციელებელ პერსონალთან ერთად, დეტალურად განიხილა თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევის მექანიზმი, კურსის შინაარსის შესაბამისობა სწავლის მიზნებთან და მეთოდებთან, რომელთა გამოყენებითაც დაგეგმილია სასწავლო კურსის ფარგლებში კონკრეტული შედეგების მიღწევა. სასწავლო კურსებში შევიდა ცვლილებები და ისინი შესაბამისობაში მოვიდნენ მიღებულ რეკომენდაციებში მოცემულ მოთხოვნებთან. სასწავლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის მიზნების მიღწევის შესაძლებლობა თითოეული სასწავლო კურსისთვის გათვალისწინებულია თითოეული სასწავლო კურსისთვის კრედიტების, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განსაზღვრისას. რაც შეეხება პროგრამის სტრუქტურას, საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 2, 3 და 5 კრედიტს, რომელთა განაწილებაც ხდება კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგების მიხედვით. იგივე პრინციპი იქნა გამოყენებული 5-კრედიტიანი სასწავლო კურსისთვის, ზოგიერთი განაწილების შემთხვევაში- 45 საათი და ზოგიერთ შემთხვევაში- 60 საათი. ეს კურსები, რომლებიც საჭიროებენ უფრო მეტ საკონტაქტო საათს (მაგალითად, ინგლისური ენა, სწავლების მეთოდოლოგია, ინკლუზიური განათლება და ა.შ.). სასწავლო კურსებისთვის გამოიყო 60 საათი, სადაც მეტი დრო იყო საჭირო კურსების შინაარსისთვის აუცილებელი დამოუკიდებელი სამუშაოსთვის და სწავლის შედეგების მისაღწევად, მოხდა 45 საკონტაქტო საათის განაწილება. სწავლების მეთოდების შერჩევის პროცესში მნიშვნელოვანი სამუშაო განხორციელდა. ძირითადი აქცენტი გაკეთდა სწავლის შედეგების მისაღწევად შესაბამისი მეთოდებისა და ღონისძიებების შერჩევაზე.

| |
|---|
| ლიტერატურა შეირჩა დარგში არსებული სიახლეების საფუძველზე, თუმცა, სასწავლო კურსების ნაწილში, შედარებით წინა რედაქციები აგრეთვე გამოყენებულ იქნა თანამედროვე ლიტერატურასთან ერთად სათანადო არგუმენტების მოშველიებით. სალექციო კურსის ელექტრონული ვერსია მომზადდა კურსის ნაწილში და ის სტუდენტს დარეგისტრირებისთანავე გაეგზავნება.<br><br>მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში, თვითშეფასების დოკუმენტში წარდგენილი ინფორმაცია დადასტურდა ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და სტუდენტებთან ინტერვიუების დროს. აგრეთვე, ვიზიტის დროს ჩვენ შევამოწმეთ გარკვეული საკითხები და დავადასტურეთ ინფორმაციის სანდოობა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>o ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის ბრძანებულება N 37 ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესების დამტკიცების შესახებ;<br>o სამუშაო ჯგუფის ოქმები შემუშავდა საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით;<br>o საგანმანათლებლო პროგრამა (სწავლის შედეგების რუქა); სასწავლო კურსების სასწავლო პროგრამები; |
| რეკომენდაციები:<br><br>კურსის განმავლობაში, სტუდენტები შეისწავლიან ინგლისურ ენას A1-დან B2 დონემდე, თუმცა, მათი ცოდნა ინგლისური ენის კომუნიკაციისთვის საკმარისი არ არის. სტუდენტების მიერ ინგლისური ენის ფლობის უნარ-ჩვევების ხარისხის ხაზგასმა. |
| რეკომენდაციები პროგრამის შესამუშავებლად: (მცირე რეკომენდაცია)<br><br>არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის შესამუშავებლად |
| საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):<br><br>o პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტიანია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის |
| აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევა ან/და პროგრესი, რომელსაც პროგრამა აღწევს წინა აკრედიტაციის შემდეგ (გამოყენების შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>გთხოვთ, მონიშნოთ უჯრა, რომელიც ყველაზე უკეთ აღწერს თქვენს პოზიციას პროგრამებთან დაკავშირებით სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან შესაბამისობა |

| |
|---|
| **X მოთხოვნებს შეესაბამება**<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/აკადემიური მოსწრებისა და გადაცემადი უნარ-ჩვევები |
|---|
| პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტის პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/აკადემიური მოსწრებისა და გადაცემადი უნარ-ჩვევების განვითარებას ან/და მათ ჩართულობას კვლევით პროექტებში, პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. |
| **სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი შეჯამება და ანალიზი**<br><br>მონიტორინგის პროგრამის ფარგლებში, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის“ მიხედვით, მასწავლებლის დარგობრივი კომპეტენციები განისაზღვრა საჯარო სამართლის იურიდიული პირის-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 3 იანვრის ბრძანებულება N 08-ით „მასწავლებლის განათლების“ უმაღლესი განათლების დარგობრივი სპეციფიკის დამტკიცების შესახებ“, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს როგორც ცოდნას, გაგებას, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებსა და დამოკიდებულებებს/ღირებულებებს, ისე ზოგად კომპეტენციებს. ამ კომპეტენციების საფუძველზე, დადგინდა „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის“ სწავლის შედეგები.<br>საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები შეესაბამებიან შინაარსს და ისინი, თეორიულ ცოდნასთან ერთად, სტუდენტებს უვითარებენ პრაქტიკულ, სამეცნიერო-კვლევით და გადაცემად უნარ-ჩვევებს. სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიხედვით პრაქტიკული, სამეცნიერო-კვლევითი და გადაცემადი უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით, კურსის სასწავლო პროგრამებში გათვალისწინებულია თეორიული კვლევებისა და პრაქტიკული სამუშაოს თანაფარდობა. ამ უნარ-ჩვევების განსავითარებლად, თითოეული სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს შესაბამის მეთოდებსა და ღონისძიებებს. სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, განახორციელოს კომპონენტი პრაქტიკული უნარ-ჩვევების განსავითარებლად სასკოლო პრაქტიკის მეშვეობით, რომელსაც საგანმანათლებლო |

პროგრამებში აქვს 30 კრედიტი. სკოლებში აქტიური მასწავლებლები უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ერთად ჩართულები არიან სასკოლო პრაქტიკის განხორციელებაში. უნივერსიტეტს არ გააჩნია იმ მასწავლებლების შერჩევის თავისი საკუთარი პროცედურები, რომლებიც უძღვებიან პრაქტიკის კომპონენტს. მასწავლებლების საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება მასწავლებლის საქმიანობის, პროფესიური განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის მიხედვით. ეს გაურკვეველს ხდის იმას, თუ როგორ უზრუნველყოფენ ისინი კვალიფიციური პირის მიერ სტუდენტის ხელმძღვანელობას. დაწყებით სკოლებთან, აგრეთვე პრაქტიკოს მასწავლებლებთან იდება სათანადო ხელშეკრულებები. სასკოლო პრაქტიკასთან ერთად სტუდენტის პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას ხელს უწყობენ სხვადასხვა სასწავლო კურსები (ინკლუზიური განათლება, სასწავლო კურსების სწავლების მეთოდები, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში და ა.შ.).

საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, ჩაერთონ კვლევითი პროექტების განხორციელებაში უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე, რისთვისაც პროგრამა ითვალისწინებს სამაგისტრო დისერტაციის დასრულებას. ამ კომპონენტისთვის გათვალისწინებული 30 კრედიტის ფარგლებში, სტუდენტი შეძლებს კვლევების ჩატარებას სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით (დაკვირვება, ექსპერიმენტი, ინტერვიუ, კითხვების დასმა, და ა.შ.) და ჩატარებული კვლევის შედეგების წარდგენას პრაქტიკულ-სამეცნიერო კონფერენციებზე ანგარიშის წარდგენის/საუნივერსიტეტო სტუდენტურ და ახალგაზრდა მეცნიერთა ნაშრომებში გამოქვეყნების სახით, მათი სამაგისტრო დისერტაციაში ასახვის გარდა, და ა.შ. ძირითად სასწავლო კურსებში გათვალისწინებული „სწავლების მეთოდები განათლებაში" და „პრაქტიკის კვლევა" („ჩართული პრაქტიკა") სტუდენტებს ასწავლიან კვლევის დაგეგმვას, რაც, კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარებასთან ერთად,მათ დაეხმარება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელებაში - სამაგისტრო დისერტაციის დაწერაში. სტუდენტი სამაგისტრო დისერტაციას წერს კვალიფიციური პირის ხელმძღვანელობით.

მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში, თვითშეფასების დოკუმენტში წარდგენილი ინფორმაცია დადასტურდა ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და სტუდენტებთან ინტერვიუების დროს.

სკოლებში სტუდენტების პრაქტიკასთან დაკავშირებით აღმოჩნდა, რომ ეს ძირითადად ხდება ბათუმის სკოლებში. ჩვენი აზრით, სტუდენტებისთვის უფრო სასარგებლო იქნებოდა, რომ პრაქტიკისთვის მათ ჰქონდეთ სკოლების უფრო ფართო სპექტრიდან რომელიმეს

არჩევის შესაძლებლობა. სასურველი იქნებოდა უფრო მჭიდრო თანამშრომლობა უნივერსიტეტსა და ამ სკოლებს შორის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა (სწავლის შედეგების რუქა);
- სასწავლო კურსების სასწავლო პროგრამები;
- სკოლებთან გაფორმებული მემორანდუმები;

**რეკომენდაციები:**

წინადადება (წინადადებები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების შესასრულებლად

**რეკომენდაციები პროგრამის შესამუშავებლად:**

რეგიონულ სკოლებთან (და არა მხოლოდ ბათუმში მდებარე სკოლებთან) მემორანდუმების დადება და გამოყენება (აქცენტი კეთდება სტუდენტების სასკოლო პრაქტიკის სფეროში თანამშრომლობაზე).

**საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტიანია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

**აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი**

- მნიშვნელოვანი მიღწევა ან/და პროგრესი, რომელსაც პროგრამა აღწევს წინა აკრედიტაციის შემდეგ (გამოყენების შემთხვევაში)

**შეფასება**

გთხოვთ, მონიშნოთ უჯრა, რომელიც ყველაზე უკეთ აღწერს თქვენს პოზიციას პროგრამებთან დაკავშირებით სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშიამოთხოვნებთან

**x არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლებისა და სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლებისა და სწავლის მეთოდები შეესაბამებიან განათლების

| |
|---|
| დონეს, კურსის შინაარსს, სტუდენტის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფენ მათ მიღწევას. |
| **სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი შეჯამება და ანალიზი**<br>მონიტორინგის ფარგლებში, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამი“ მიხედვით, თითოეული კურსის სწავლებისა და სწავლის მეთოდები შეესაბამებიან უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხურს, სასწავლო კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფენ მათ მიღწევას; პროგრამაში მოცემულ სწავლების/სწავლის და შეფასების მეთოდები (ანუ ზეპირი მეთოდები, წიგნზე/ტექსტზე მუშაობა, დემონსტრირების მეთოდები (ლაბორატორიული და დემონსტრირების/მოდელირების მეთოდები), განხილვები/დებატები, თანამშრომლობითი მუშაობას(ჯგუფში და წყვილებში), შემეცნებითი სქემები (ცოდნისა და სწავლის სურვილი, ვენის დიაგრამა, T დიაგრამა, ასოციაციური რუქა), სიტუაციური დავალებები/შემთხვევების ანალიზი, თემატურ-როლური თამაში/მოდელირება, პრეზენტაცია/პოსტერი, სწავლება, ტექნიკური უზრუნველყოფის პორტფოლიოები, წერა, როგორც სწავლების მეთოდი (არგუმენტაციული/კრიტიკული ესე, ღია/დახურული გამოცდა, და ა შ.) მოცემულია პროგრამით გათვალითსწინებული თითოეული კურსის სასწავლო პროგრამაში და მათი კომბინაცია უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. გამოყენებული მეთოდები და ფორმები მიღებულია სასწავლო კურსის სწავლის შედეგებიდან. კერძოდ, ცოდნისა და გაგების კომპეტენციის განვითარებას ხელს უწყობს სხვადასხვა სასწავლო კურსებში შემდეგი სწავლების მეთოდების გამოყენება: ვერბალური, წიგნზე მუშაობის განმარტებითი მეთოდით მუშაობა, და ა.შ. პრაქტიკაში ცოდნის გამოყენების განვითარებას ხელს უწყობენ შემდეგი მეთოდები: შემთხვევების ანალიზი, თემატურ-როლური თამაშები, მოდელირება, დემონსტრირების მეთოდი და ა.შ. ზოგადი კომპეტენციების განვითარებას ხელს უწყობენ ვერბალური მეთოდები, თანამშრომლობითი (ჯგუფსა და წყვილებში) მუშაობა, განხილვა/დებატები, პრეზენტაცია და ა.შ.<br>ამ მეთოდების სწორად შერჩევის მონიტორინგი ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების დროს, აგრეთვე მისი შემუშავების პროცესში, ხოლო მათი გამოყენების ეფექტიანობა სასწავლო პროცესში განისაზღვრება უშუალოდ სასწავლო პროცესის მონიტორინგით.<br>ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის ბრძანებულებით N 37 ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების |

| |
|---|
| უზრუნველყოფის წესების დამტკიცების შესახებ დამტკიცებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მექანიზმი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის. რაც ნიშნავს საგანმანათლებლო პროცესში სტუდენტების უწყვეტი ჩართულობისთვის სწავლის პროცესის დაგეგმვას, მათი შესაძლებლობების, საჭიროებებისა და აკადემიური საფეხურის გათვალისწინებით. შედეგად, საჭიროების შემთხვევაში, არსებული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმაში უნდა შევიდეს ცვლილებები, უნდა მომზადდეს განსხვავებული საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა და უნდა შეთავაზებულ იქნეს შეფასების სათანადო ფორმები და პირობები. სწავლის პროცესში აგრეთვე უნდა გათვალისწინებულ იქნეს სტუდენტების კულტურული კონტექსტი.<br>მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში, თვითშეფასების დოკუმენტში წარდგენილი ინფორმაცია დადასტურდა ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და სტუდენტებთან ინტერვიუების დროს. აგრეთვე, ვიზიტის დროს ჩვენ შევამოწმეთ გარკვეული საკითხები და დავადასტურეთ ინფორმაციის სანდოობა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• საგანმანათლებლო პროგრამა (სწავლების და სწავლის მეთოდები);<br>• სასწავლო კურსების სასწავლო პროგრამები;<br>• ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის ბრძანებულება N 37 ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესების დამტკიცების შესახებ;<br>https://bsu.edu.ge/sub-9/news/0/6/index.html |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება (წინადადებები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების შესასრულებლად |
| **რეკომენდაციები პროგრამის შესამუშავებლად:**<br>არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის შესამუშავებლად |
| **საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**<br>o პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტიანია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის |
| **აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი**<br>o მნიშვნელოვანი მიღწევა ან/და პროგრესი, რომელსაც პროგრამა აღწევს წინა აკრედიტაციის შემდეგ (გამოყენების შემთხვევაში) |

შეფასება

გთხოვთ, მონიშნოთ უჯრა, რომელიც ყველაზე უკეთ აღწერს თქვენს პოზიციას პროგრამებთან დაკავშირებით სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან შესაბამისობა

**X მოთხოვნებს შეესაბამება**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტის შეფასება

სტუდენტის შეფასება ხდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. ის გამჭვირვალეა და არსებულ კანონმდებლობას შეესაბამება.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი შეჯამება და ანალიზი**

მონიტორინგის ფარგლებში, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის“ მიხედვით, სტუდენტის ცოდნა ფასდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანებულება N 3-ის და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის დადგენილების და „ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის პროცესის რეგულაციების“ საფუძველზე.

თითოეული სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი შკალით (აქტივობის მიმდინარე დონე- 40 ქულა, შუალედური გამოცდები- 20 ქულა და საბოლოო გამოცდა- 40 ქულა).

თითოეულ სასწავლო კურსში, ყველა კომპონენტით გათვალისწინებულ აქტივობებში სტუდენტს შეუძლია დააგროვოს მაქსიმალური ქულა.

სასწავლო კურსებში მითითებულია უმაღლესი ქულები და მათ ინდივიდუალურად პროფესორი განსაზღვრავს.

საბოლოო აქტივობის მაჩვენებელი იანგარიშება შემდეგნაირად: კონკრეტულ სწავლებაში სტუდენტების მიერ დაგროვილი ქულები იყოფა მაქსიმალური ქულებით განსაზღვრულ განაკვეთზე და მრავლდება 40-ზე.

საბოლოო გამოცდაზე დაშვების წინაპირობა:

- სტუდენტს მოეთხოვება დაესწროს, სულ მცირე, სასწავლო კურსების 50%-ს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას არ ექნება გამოცდის ჩაბარების უფლება.

- შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 21 ქულა; საბოლოო შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 20 ქულა;

სტუდენტის საბოლოო შეფასება:

- კურსი გავლილად ჩაითვლება, თუ სტუდენტი მიიღებს ქვემოთ მოცემული დადებითი შეფასებებიდან ერთ-ერთს:

ა) (A) - ფრიადი - 91 ქულა ან მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; C) (C) კარგი - 71-80 ქულა; D) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; E) (E) საკმარისი - 51-60 ქულა.

- უარყოფითი შეფასებებია შემდეგი: (FX) ვერ ჩააბარა დამხმარე შეფასების შემდეგ - სტუდენტის მიერ მიღებული 41-50 ქულა მას შესაძლებლობას აძლევს, ხელახლა ჩააბაროს გამოცდა.

(F) ვერ ჩააბარა - 40 ქულა ან ნაკლები, კურსი ხელახლა უნდა გაიაროს.

კონკრეტული შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება კურსის სასწავლო პროგრამით, რომელიც შეესაბამება სასწავლო კურსის შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამა სრულდება სამაგისტრო დისერტაციით, კურსის სწავლის კომპონენტის დასრულების შემდეგ. სამაგისტრო დისერტაცია მოიცავს 30 კრედიტს და ის წარმოადგენს სტუდენტის მიერ ჩატარებული სამეცნიერო კვლევის შედეგს. სამაგისტრო დისერტაციის დაცვა შეიძლება მოხდეს იმავე სემესტრში ან შემდეგ სემესტრში, როცა სტუდენტი ასრულებს მასზე მუშაობას. სამაგისტრო დისერტაცია უნდა შეფასდეს ერთხელ (საბოლოო შეფასება), სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემის საფუძველზე:

ა) ფრიადი (summa cum laude) - შესანიშნავი დისერტაცია;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც ყველა მხრივ აჭარბებს დადგენილ მოთხოვნებს;

გ) კარგი (cum laude) - შედეგი, რომელიც აჭარბებს დადგენილ მოთხოვნებს;

დ) საშუალო (bene) - დამაკმაყოფილებელი დისერტაცია, რომელიც აკმაყოფილებს დადგენილ ძირითად მოთხოვნებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად მაინც აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (არასაკმარისი) - არადამაკმაყოფილებელი დონის ნამუშევარი, რომელიც მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს;

| |
|---|
| ზ) აბსოლუტურად არადამაკმაყოფილებელი (sub omnicanone) - შედეგი, რომელიც საერთოდ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს.<br>სტუდენტების შეფასების კომპონენტები სწავლის შედეგებს შეესაბამება. შეფასება არის გამჭვირვალე და სტუდენტი ეცნობა შეფასების მეთოდს კურსის დაწყებამდე, ყველა სასწავლო პროგრამასთან დაკავშირებით, შეფასების კომპონენტებისა და შეფასების დეტალური რუბრიკების ჩათვლით. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების დროს, დადასტურდა, რომ სტუდენტები რეგულარულად იღებენ შეფასებას თითოეული დავალების შემდეგ თავიანთი მუშაობის შედეგის ძლიერ და სუსტ მხარეებთან დაკავშირებით.<br>მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში, თვითშეფასების დოკუმენტში წარდგენილი ინფორმაცია დადასტურდა უნივერსიტეტიდან და სხვა დაწესებულებებიდან სხვადასხვა ჯგუფებთან ინტერვიუების დროს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• 2015 წლის 8 ოქტომბრის ბრძანებულება N 111 სასწავლო პროცესის რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ.<br>• 2018 წლის 20 თებერვლის ბრძანებულება N 23 გამოცდების რეგულაციის დამტკიცების შესახებ;<br>• სტუდენტის სახელმძღვანელო<br>• https://bsu.edu.ge/main/page/2-269/index.html<br>• სასწავლო კურსების სასწავლო პროგრამები;<br>• ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების საბჭოს სხდომების ოქმი<br>• ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები<br>• https://bsu.edu.ge/sub-27/page/2-62/index.html<br>• პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ავტობიოგრაფიები (ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი)<br>• www.bsu.edu.ge<br>• ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 თებერვლის ბრძანებულება N 198 ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ;<br>ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის ბრძანებულება N 1 საჯარო სამართლის იურიდიული პირის- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ. |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება (წინადადებები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების შესასრულებლად |
| **რეკომენდაციები პროგრამის შესამუშავებლად:**<br>არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის შესამუშავებლად |

| |
|---|
| **საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტიანია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის |
| **აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევა ან/და პროგრესი, რომელსაც პროგრამა აღწევს წინა აკრედიტაციის შემდეგ (გამოყენების შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>გთხოვთ, მონიშნოთ უჯრა, რომელიც ყველაზე უკეთ აღწერს თქვენს პოზიციას პროგრამებთან დაკავშირებით სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>**X მოთხოვნებს შეესაბამება**<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების სათანადო შეფასება | X | | | |

## 3. სტუდენტების მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა

უსდ ქმნის სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოს სტუდენტებისთვის შესაბამისი მომსახურებების შეთავაზებით; პროგრამის პერსონალი უზრუნველყოფს დასახელებულ მომსახურებებთან გაცნობას, ორგანიზებას უკეთებს სხვადასხვა ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1. სტუდენტთა მხარდაჭერის მომსახურებები |
|---|
| სტუდენტები იღებენ სათანადო კონსულტაციების და მხარდაჭერას სწავლის პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებასთან დასაქმებასა და პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით. |

| სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი შეჯამება და ანალიზი |
|---|
| მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, სტუდენტები იღებენ შესაბამის ინდივიდუალურ საკონსულტაციო მომსახურებებს. თითოეული მათგანი იღებს სასურველ კონსულტაციას და დახმარებას - სტუდენტები იღებენ დახმარებას სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურებების სამსახურიდან, და აგრეთვე მოქმედებს სტუდენტების კარიერული კონსულტაციაც. სტუდენტის კონსულტაცია შედის სამუშაოს აღწერილობასა და პასუხისმგებლობაში ისევე როგორც სხვადასხვა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაოს აღწერილობები. შესაბამისი ინფორმაცია ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. დამატებით, კოლეჯის პერსონალმა, აგრეთვე სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ ხორციელდება ინდივიდუალური საკონსულტაციო სამუშაო და ყველა მათგანს მომსახურება სრულად აკმაყოფილებს.<br><br>სტუდენტები ინფორმირებულები არიან პროგრამის მიზნის, სასწავლო პროგრამის, შედეგების და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ. სტუდენტებს აქვთ ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა ფაკულტეტის დეკანისგან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისგან და პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალისგან. ისინი სტუდენტებს აცნობენ შეფასების კრიტერიუმებსა და სხვა შესაბამის საკითხებს. აკადემიური პერსონალი მართავს კონსულტაციებსა და დამატებით შეხვედრებს სტუდენტებთან. სტუდენტები საგანმანათლებლო პროცესში იღებენ კონსულტაციებსა და დახმარებას არა მხოლოდ ლექტორებისგან, არამედ აგრეთვე უსდ-ს ადმინისტრაციის ყველა შესაბამისი სამსახურისგან. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>o თვითშეფასების ანგარიში<br>o ინტერვიუ უსდ-ს ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან<br>o ინტერვიუ უსდ-ს სტუდენტებთან და ბოლო კურსის სტუდენტებთან. |
| რეკომენდაციები:<br><br>წინადადება (წინადადებები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების შესასრულებლად |
| რეკომენდაციები პროგრამის შესამუშავებლად: |
| საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): |

- მაგალითად, უნივერსიტეტის ელექტრონული პორტალი, რომელიც ძირითადად აქცენტირებულია კარიერის განვითარების შესაძლებლობებზე და უმთავრესად ემსახურება სტუდენტებს, აგრეთვე კურსდამთავრებულებს, შეიძლება მოყვანილ იქნეს საუკეთესო პრაქტიკის მაგალითად, განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს პორტალი ახერხებს უნივერსიტეტის სხვა ელექტრონულ საშუალებებთან ინტეგრირებას და ეს უზრუნველყოფს უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის კომპლექსურ მხარდაჭერას.

**აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი**

- მნიშვნელოვანი მიღწევა ან/და პროგრესი, რომელსაც პროგრამა აღწევს წინა აკრედიტაციის შემდეგ (გამოყენების შემთხვევაში)

**შეფასება**

გთხოვთ, მონიშნოთ უჯრა, რომელიც ყველაზე უკეთ აღწერს თქვენს პოზიციას პროგრამებთან დაკავშირებით სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**× არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 3.2. სამაგისტრო და დოქტორანტურის სტუდენტების ხელმძღვანელობა

სამაგისტრო და დოქტორანტურის სტუდენტებს ჰყავთ დისერტაციის კვალიფიცირებული ხელმძღვანელები.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი შეჯამება და ანალიზი**

პროგრამა ახალია, ასე, რომ ექსპერტთა ჯგუფი ორიენტირებულია ხელმძღვანელობაზე, როგორც ის ხორციელდება სხვა პროგრამებში, და როგორც ის გათვალისწინებული ახლად შეთავაზებულ პროგრამაში. როგორც ჩანს, ხელმძღვანელობის პროცესი უმთავრესად ხელმძღვანელების პასუხისმგებლობას წარმოადგენს და მათ არსებულ გამოცდილებას არის მინდობილი. ამავე დროს, სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ დისერტაციის თემების შესაბამისი სამეცნიერო-ტექნიკური გამოცდილება. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათი ხელმძღვანელი სტუდენტებთან კონსულტაციებს ძალიან ხშირად მართავს. კვლევის პროცესში, ხელმძღვანელებმი კონსულტაციას უწევენ სტუდენტს თემისა და მისი კვლევის მეთოდის შესახებ. ჩვენ ვერ აღმოვაჩინეთ ხელმძღვანელების სისტემატიური მომზადების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება.

| |
|---|
| |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>o ინტერვიუები უსდ-ს ადმინისტრაციასთან<br>o ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან<br>o ინტერვიუ დამსაქმებლებთან;<br>o საგანმანათლებლო პროგრამა; სასწავლო პროგრამები |
| რეკომენდაციები:<br><br>წინადადება (წინადადებები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების შესასრულებლად |
| რეკომენდაციები პროგრამის შესამუშავებლად:<br><br>ხელმძღვანელებისთვის სისტემატიური სწავლების ჩატარება. |
| საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):<br><br>o პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტიანია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის |
| აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევა ან/და პროგრესი, რომელსაც პროგრამა აღწევს წინა აკრედიტაციის შემდეგ (გამოყენების შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>გთხოვთ, მონიშნოთ უჯრა, რომელიც ყველაზე უკეთ აღწერს თქვენს პოზიციას პროგრამებთან დაკავშირებით სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>**X მოთხოვნებს შეესაბამება**<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტების მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა | X | | | |

## 4. სასწავლო რესურსების უზრუნველყოფა

პროგრამის შრომითი, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფენ პროგრამის მდგრადობას, მის ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და დასახული მიზნების მიღწევას.

| 4.1 შრომითი რესურსები |
|---|
| ➢ პროგრამის პერსონალი შედგება კვალიფიცირებული პირებისგან, რომლებსაც გააჩნიათ აუცილებელი კომპეტენიები, რათა სტუდენტებს დაეხმარონ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში;<br>➢ პროგრამის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის მდგრად წარმართვას და აგრეთვე, მათი კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მიკუთვნებული მოვალეობების სათანადო შესრულებას. ბალანსი აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.<br>➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, რომელიც საჭიროა პროგრამის შემუშავებისთვის. ის პირადად არის ჩართული პროგრამის განხორციელების პროცესში;<br>➢ პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილები არიან შესაბამისი კომპეტენციის მქონე სათანადო რაოდენობის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. |
| **სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი შეჯამება და ანალიზი**<br><br>აკაკი წერეთლის სახელობის სახლემწიფო უნივერსიტეტის 3 პროფესორი, 14 ასოცირებული პროფესორი, 17 ასისტენტ პროფესორი და 1 მოწვეული პროფესორი მონაწილეობენ დაწყებითი სკოლების მასწავლებლების მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაცია და გამოცდილება უზრუნველყოფს მიზნებისა და პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელ კომპეტენციებს. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, რომელიც საჭიროა პროგრამის შემუშავებისთვის. პროგრამაში ჩართული აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს გააჩნია შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილება, თეორიული ცოდნა და სწავლების მეთოდების ცოდნა და სხვა პროფესიული უნარ-ჩვევები. პროგრამაში ჩართული პირების სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში) მაღალია (191 კვლევითი ნაშრომი გამოქვეყნდა ადგილობრივ ჟურნალებში, 122 ნაშრომი- საერთაშორისო ჟურნალებში, 4 ანგარიში წარდგენილ იქნა ადგილობრივ კონფერენციებზე, 271 ანგარიში- საერთაშორისო კონფერენციებზე, მონაწილეობა 175 სასწავლო კურსში და ჩართულობა 53 პროექტში). ინტერვიუს დროს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობს უნივერსიტეტის პედაგოგების პროფესიულ განვითარებაზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>➢ ინტერვიუ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, რომლებიც ახორციელებენ პროგრამას.<br>➢ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ავტობიოგრაფიები<br>➢ პროგრამის ხელმძღვანელის ავტობიოგრაფია<br>➢ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში |

| |
|---|
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება (წინადადებები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების შესასრულებლად |
| **რეკომენდაციები პროგრამის შესამუშავებლად:**<br><br>არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის შესამუშავებლად |
| **საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტიანია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის |
| **აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევა ან/და პროგრესი, რომელსაც პროგრამა აღწევს წინა აკრედიტაციის შემდეგ (გამოყენების შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>გთხოვთ, მონიშნოთ უჯრა, რომელიც ყველაზე უკეთ აღწერს თქვენს პოზიციას პროგრამებთან დაკავშირებით სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>**X მოთხოვნებს შეესაბამება**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება** |
| ➢ უსდ ახორციელებს პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებას და რეგულარულად აანალიზებს შეფასების შედეგებს;<br>➢ უსდ ხელს უწყობს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებას. ამის გარდა, ის ხელს უწობს მათ სამეცნიერო და კვლევით მუშაობაში. |
| **სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი შეჯამება და ანალიზი**<br><br>ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაში ხაზგასმულია „აკადემიური პერსონალის მხარდაჭერის განვითარება“. ეს დოკუმენტი განსაზღვრავს რვა კონკრეტულ ამოცანას (მაგალითად, აკადემიური პერსონალის, მომსახურებების, სამეცნიერო კომპონენტის შეფასება, დასაქმებულის დაკმაყოფილების შესახებ გამოკითხვა, აქტიური პროფესორ-პედაგოგი, უკეთესი ლექტორი და მკვლევარი, ლექტორ-კონსულტანტი და პერსონალის განვითარების პოლიტიკა) და შესაბამის |

| |
|---|
| სამოქმედო გეგმებს. ინტერვიუს დროს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს უნივერსიტეტის პედაგოგების პროფესიული განვითარება, და უნივერსიტეტის ბიუჯეტი ითვალისწინებს პროფესიული განვითარების საჭიროებებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად აფასებს პედაგოგის საქმიანობას. შეფასების შედეგები გამოიყენება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული გაუმჯობესებისთვის. ზოგიერთი სასწავლო კურსი ორგანიზებულია განათლების დეპარტამენტის მიერ, ის მხარს უჭერს აკადემიური პერსონალის განვითარებას უმთავრესად სწავლების უნარ-ჩვევების მიმართულებით და არა იმდენად- კვლევითი უნარ-ჩვევების მიმართულებით. აგრეთვე, შეხვედრების დროს გამოვლინდა ინგლისურ ენის ფლობის უნარ-ჩვევების გარკვეული ნაკლებობა. ინტერვიუების დროს, პედაგოგების უმეტესობამ ვერ შეძლო ინგლისურ ენაზე კომუნიკაცია. ამან შეიძლება გავლენა მოახდინოს მათ მიერ თანამედროვე კვლევების შესახებ ლიტერატურის გაცნობის შესაძლებლობაზე. თუმცა, აკადემიური პერსონალი მონაწილეობს გაცვლით პროგრამებსა და საერთაშორისო კონფერენციებში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>➢ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა: https://bsu.ge/main/page/2-35/index.html<br>➢ გამოკითხვები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ: https://bsu.edu.ge/sub-27/page/2-62/index.html<br>➢ ინტერვიუ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან<br>➢ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ავტობიოგრაფიები<br>➢ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში |
| **რეკომენდაციები:**<br><br>▪ პერსონალისთვის უფრო სისტემატიური სწავლების ჩატარება კვლევის უნარ-ჩვევებსა და ინგლისური ენის ფლობის უნარ-ჩვევებზე. |
| ▪ **რეკომენდაციები პროგრამის შესამუშავებლად:**<br><br>▪ აქცენტის გაკეთება სწავლების უნარ-ჩვევებში პერსონალის უწყვეტ სწავლებაზე. |

**საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტიანია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

**აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი**

- მნიშვნელოვანი მიღწევა ან/და პროგრესი, რომელსაც პროგრამა აღწევს წინა აკრედიტაციის შემდეგ (გამოყენების შემთხვევაში)

**შეფასება**

გთხოვთ, მონიშნოთ უჯრა, რომელიც ყველაზე უკეთ აღწერს თქვენს პოზიციას პროგრამებთან დაკავშირებით სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**x არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.3. მატერიალური რესურსები

პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური მოწყობილობით.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი შეჯამება და ანალიზი**

- ვიზიტის დროს, ჩვენ დაგვათვალიერებინეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული რესურს ცენტრი, ლაბორატორია და სხვა ტექნიკური მოწყობილობა, რომლებიც შეესაბამებიან პროგრამის მიზნებს და უზრუნველყოფენ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ვიზიტის დროს უნივერსიტეტის ერთ-ერთ კორპუსში მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოები. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებობს როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული ბიბლიოთეკები და შესაბამისი ელექტრონული კატალოგები. ბიბლიოთეკის კატალოგი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პერსონალისთვის. ვიზიტის დროს, ჩვენ მოვიძიეთ სასწავლო პროგრამებში მითითებული წიგნები და ელექტრონული წყაროები. ბიბლიოთეკას აგრეთვე გააჩნია წვდომა საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებთან (მაგალითად, ELSEVIER-ის ბაზები), სადაც სტუდენტებს შეუძლიათ მოიძიონ საერთაშორისო ჟურნალებისა და წიგნების ბოლო გამოცემები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ეწვიეთ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალურ რესურსებს
- ეწვიეთ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
- თვითშეფასების ანგარიში

**რეკომენდაციები:**

წინადადება (წინადადებები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების შესასრულებლად

**რეკომენდაციები პროგრამის შესამუშავებლად:**

არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის შესამუშავებლად

**საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტიანია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

**აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი**

- მნიშვნელოვანი მიღწევა ან/და პროგრესი, რომელსაც პროგრამა აღწევს წინა აკრედიტაციის შემდეგ (გამოყენების შემთხვევაში)

**შეფასება**

გთხოვთ, მონიშნოთ უჯრა, რომელიც ყველაზე უკეთ აღწერს თქვენს პოზიციას პროგრამებთან დაკავშირებით სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან შესაბამისობა

**X მოთხოვნებს შეესაბამება**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების განაწილება ეკონომიკურად მისაღებია და ის შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

| სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი შეჯამება და ანალიზი |
|---|
| ➢ პროგრამისთვის ფინანსური რესურსები გათვალისწინებულია უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ბიუჯეტითა და მისი ინდივიდუალური მუხლებით. კანცლერმა მკაფიოდ განმარტა პროგრამის დაფინანსების მექანიზმი- ამ უნივერსიტეტში ყველა სხვა დანარჩენი პროგრამის მსგავსად, პროგრამა ნაწილობრივ დაფინანსდება უნივერსიტეტის ცენტრალიზებული რესურსებიდან, და ნაწილობრივ- ფაკულტეტის ბიუჯეტიდან (ფაკულტეტის დონეზე ბიუჯეტის დეცენტრალიზაცია ხორციელდება, როგორც უნივერსიტეტის ბიუჯეტირების პროცესში მნიშვნელოვანი ცვლილება). უნივერსიტეტის დოკუმენტებში აღნიშნულია კონკრეტული პუნქტები, რომლებიც გათვალისწინებულია პროგრამის ბიუჯეტირების შემთხვევაში: უნივერსიტეტის პერსონალი, მოწვეული პერსონალი, მატერიალური რესურსები და ა.შ.). როგორც ჩანს, რეგიონული თანადაფინანსება აგრეთვე ხელმისაწვდომია ამ მიზნისთვის. ექსპერტთა ჯგუფი შეთანხმდა იმაზე, რომ ეს ღონისძიება მიუთითებდა პროგრამის ფინანსურ მდგრადობაზე, რომელიც შეესაბამებოდა მის საჭიროებებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br>➢ თვითშეფასების ანგარიში<br>➢ პროგრამის აღწერილობა<br>➢ ინტერვიუები |
| რეკომენდაციები:<br>წინადადება (წინადადებები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების შესასრულებლად |
| რეკომენდაციები პროგრამის შესამუშავებლად:<br>არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის შესამუშავებლად |
| საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):<br>o პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტიანია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის |
| აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი<br>o მნიშვნელოვანი მიღწევა ან/და პროგრესი, რომელსაც პროგრამა აღწევს წინა აკრედიტაციის შემდეგ (გამოყენების შემთხვევაში) |
| შეფასება |

| |
|---|
| გთხოვთ, მონიშნოთ უჯრა, რომელიც ყველაზე უკეთ აღწერს თქვენს პოზიციას პროგრამებთან დაკავშირებით სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>**X მოთხოვნებს შეესაბამება**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სასწავლო რესურსების უზრუნველყოფა | X | | | |

## 5. სწავლების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის მომსახურებებს და აგრეთვე პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და პროგრამის განხილვას. შესაბამისი მონაცემები გროვდება, ანალიზდება და გამოიყენება ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად და პროგრამის შესამუშავებლად რეგულარულად.

| **5.1 შიდა ხარისხი** |
|---|
| პროგრამის პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურ(ებთ)თან, რომელიც ხელმისაწვდომია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვისას, შეფასების ინსტრუმენტების შექმნისას და შეფასების შედეგების გაანალიზებისას. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის დასახვეწად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი შეჯამება და ანალიზი**<br><br>მონიტორინგის ფარგლებში, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის“ მიხედვით, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ორიენტირებულია |

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებაზე და მათი განვითარების ხელშეწყობაზე, სასწავლო პროცესებსა და აკადემიური პერსონალის საქმიანობაზე. შიდა ხარისხის შეფასებისთვის, სტრატეგიული განვითარების გეგმა ითვალისწინებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების მეთოდების გაუმჯობესებას, საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებას და შემდგომ განვითარებას, სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასებას, სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგს, კურსდამთავრებულების დასაქმებას, დამსაქმებლის დამოკიდებულებას და შრომითი ბაზრის კვლევას. სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა", რომელიც, როგორც ჩანს, არის სათანადო და წარმოადგენს მყარ საფუძველს ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში შემდგომი საქმიანობისთვის.

კერძოდ, აქცენტი გაკეთდება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში პედაგოგიური პერსონალის ჩართულობაზე, სასწავლო პროგრამების განახლებასა და დახვეწაზე, სასწავლო მასალების შემუშავებაზე, სასწავლო პროცესის მონიტორინგზე, სტუდენტების დაკმაყოფილების კვლევაზე და სხვა აკადემიური საქმიანობის შედეგებზე. აგრეთვე, ხაზი უნდა გაესვას პერსონალის მონაწილეობას სამეცნიერო საქმიანობაში, სამეცნიერო ნაშრომების ხარისხობრივ ანალიზს, სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობას, სტუდენტების ჩართულობას სამეცნიერო პროექტებში და სხვა მსგავს საკითხებს. აკადემიური პერსონალის შეფასების შედეგები აკადემიური პერსონალის შერჩევის პროცესში მნიშვნელოვად ფაქტორად მიიჩნევა. სტრატეგიული განვითარების გეგმისა და ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მიხედვით, ჩამოყალიბდა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესები. აღინიშნა, რომ ახალმა წესებმა უნდა უზრუნველყონ ყველა დაინტერესებული მხარის (აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების) მონაწილეობა პროგრამის შემუშავების პროცესში, პროგრამის განხორციელების უწყვეტი მონიტორინგი და მისი შემდგომი განვითარება.

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ძირითადად მომზადდა სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობა დაამტკიცდა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ განათლების ფაკულტეტის წარდგინებით. სამუშაო ჯგუფი იყო ერთგვაროვანი და მასში შედიოდნენ ძირითადად (თუმცა არა მხოლოდ) აკადემიური

პერსონალის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, არააკადემიური პერსონალის წარმომადგენლები და აგრეთვე სტუდენტები.

მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში, თვითშეფასების დოკუმენტში წარდგენილი ინფორმაცია დადასტურდა ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და სტუდენტებთან ინტერვიუების დროს. აგრეთვე, ვიზიტის დროს ჩვენ შევამოწმეთ გარკვეული საკითხები და დავადასტურეთ ინფორმაციის სანდოობა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები

**რეკომენდაციები:**

წინადადება (წინადადებები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების შესასრულებლად

**რეკომენდაციები პროგრამის შესამუშავებლად:**

არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის შესამუშავებლად

**საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტიანია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

**აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი**

- მნიშვნელოვანი მიღწევა ან/და პროგრესი, რომელსაც პროგრამა აღწევს წინა აკრედიტაციის შემდეგ (გამოყენების შემთხვევაში)

**შეფასება**

გთხოვთ, მონიშნოთ უჯრა, რომელიც ყველაზე უკეთ აღწერს თქვენს პოზიციას პროგრამებთან დაკავშირებით სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან შესაბამისობა

X მოთხოვნებს შეესაბამება

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.2 გარე ხარისხი

| |
|---|
| პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი შეჯამება და ანალიზი**<br><br>საგანმანათლებლო პროგრამა შეიქმნა დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების გამოცდილების გათვალისწინებით. სამომავლოდ იგეგმება გარე ხარისხის შეფასების შედეგების (კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა, საგანმანათლებლო პროგრამის გარე კვლევა და ა.შ.) რეგულარულად გამოყენება მისი შემდგომი განვითარების მიზნით. იგეგმება, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში, გარდა შიდა შეფასებისა, გამოყენებული იქნება გარე ხარისხის შეფასების მექანიზმი, რომელიც ემყარება „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის უზრუნველყოფას“ და „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის უზრუნველყოფას“. უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია, აგრეთვე თვითშეფასების წლიური ანგარიში წარედგინება საჯარო სამართლის იურიდიულ პირს- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს შესაბამისი პირობებისა და წარდგენის ფორმების მიხედვით.<br>მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში, თვითშეფასების დოკუმენტში წარდგენილი ინფორმაცია დადასტურდა ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და სტუდენტებთან ინტერვიუების დროს. აგრეთვე, ვიზიტის დროს ჩვენ შევამოწმეთ გარკვეული საკითხები და დავადასტურეთ ინფორმაციის სანდოობა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o თვითშეფასების ანგარიში<br>o ინტერვიუები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება (წინადადებები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების შესასრულებლად |
| **რეკომენდაციები პროგრამის შესამუშავებლად:**<br><br>არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის შესამუშავებლად |
| **საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტიანია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის |
| **აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევა ან/და პროგრესი, რომელსაც პროგრამა აღწევს წინა აკრედიტაციის შემდეგ (გამოყენების შემთხვევაში) |

შეფასება

გთხოვთ, მონიშნოთ უჯრა, რომელიც ყველაზე უკეთ აღწერს თქვენს პოზიციას პროგრამებთან დაკავშირებით სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან შესაბამისობა

**X მოთხოვნებს შეესაბამება**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული განხილვა

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული განხილვა ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა მონაწილე მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემატიურად შეგროვებითა და გაანალიზებით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის დასახვეწად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი შეჯამება და ანალიზი**

პროგრამის შესაფასებლად და განსავითარებლად, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მონიტორინგს, რაც ითვალისწინებს სასწავლო პროცესზე დასწრებას, მისი და საგამოცდო მასალების შეფასებას, გამოცდების მონიტორინგსა და შედეგების ანალიზს. წლების განმავლობაში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს სტუდენტების გამოკითხვებს სწავლის პროცესის შესაფასებლად. მისი ანალიზი გამოიყენება რეკომენდაციების შემუშავების საფუძვლად და აღნიშნული რეკომენდაციები დასამტკიცებლად წარედგინება აკადემიურ საბჭოს. კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვა ტარდება ელექტრონული სისტემის მეშვეობით 2017 წლიდან. ეს პროცედურები ახალი პროგრამისთვისაც იქნება ხელმისაწვდომი. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გამოიყენებს მონიტორინგისა და პერიოდული მიმოხილვის შიდა მეთოდებს (სტუდენტების გამოკითხვები, სასწავლო მასალების, საგამოცდო მასალების, გამოცდების მონიტორინგი, ლექციებზე დასწრება, აკადემიური მოსწრების ანალიზი, აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასება, სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა და ა.შ.) და გარე მეთოდებს (კურსამთავრებულები, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვები, საგანმანათლებლო პროგრამების გარე ექსპერტიზა და ა.შ.). მოსალოდნელია, რომ შეფასების მექანიზმით

| |
|---|
| სისტემატიურად შემუშავდება რეკომენდაციები პროგრამის განსავითარებლად. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და მონიტორინგის დაგეგმვა, შემუშავება, ეფექტიანი განხორციელება და მხარდაჭერა კოორდინირებული იქნება უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.<br>როგორც ჩანს, ხარისხის უზრუნველყოფის აქცენტი და მოქმედების სფერო კარგადაა შემუშავებული სწავლის/სწავლების პროცესისთვის; თუმცა, ის ნაკლებად არის აქცენტირებული სხვა საკითხებზე, რომლებიც აგრეთვე უკავშირდება პროგრამას, მაგალითად, ინტერნაციონალიზაცია, ადმინისტრაციული პერსონალის მუშაობის ხარისხი და სხვა მსგავსი საკითხები.<br>მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში, თვითშეფასების დოკუმენტში წარდგენილი ინფორმაცია დადასტურდა ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და სტუდენტებთან ინტერვიუების დროს. აგრეთვე, ვიზიტის დროს ჩვენ შევამოწმეთ გარკვეული საკითხები და დავადასტურეთ ინფორმაციის სანდოობა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br>o თვითშეფასების ანგარიში<br>o ინტერვიუები |
| რეკომენდაციები:<br>წინადადება (წინადადებები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების შესასრულებლად |
| რეკომენდაციები პროგრამის შესამუშავებლად: მეტი აქცენტი ადმინისტრაციული სამუშაოს ხარისხის შეფასებაზე, ინტერნაციონალიზაციაზე<br>▪ მეტი აქცენტის გაკეთება ინტერნატიონალიზაციის ხარისხის უზრუნველყოფასა და ადმინისტრაციული პერსონალის მუშაობაზე. |
| საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):<br>o პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტიანია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის |
| აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი<br>o მნიშვნელოვანი მიღწევა ან/და პროგრესი, რომელსაც პროგრამა აღწევს წინა აკრედიტაციის შემდეგ (გამოყენების შემთხვევაში) |
| შეფასება<br>გთხოვთ, მონიშნოთ უჯრა, რომელიც ყველაზე უკეთ აღწერს თქვენს პოზიციას პროგრამებთან დაკავშირებით სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან შესაბამისობა |

**X მოთხოვნებს შეესაბამება**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობები | X | | | |

## თანდართული დოკუმენტები (გამოყენების შემთხვევაში)

უსდ-ს სახელწოდება: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ზოგადი განათლების დაწყებითი I საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

ანგარიშში გვერდების რაოდენობა 36

## პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. პროგრამების მიზნები მკაფიოდაა განსაზღვრული და მიღწევადი; ისინი შეესაბამება უსდ-ს მისიას და ხდება შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება | X | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების სათანადო შეფასება | X | | | |
| 3. სტუდენტების მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა | X | | | |
| 4. სასწავლო რესურსების უზრუნველყოფა | X | | | |
| 5. სწავლების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობები | X | | | |

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის სახელი, გვარი, ხელმოწერა

მილან პოლი

prof. PhDr. Milan Pol, CSc. Digitálně podepsal prof. PhDr. Milan Pol, CSc. Datum: 2018.08.01 07:41:38 +02'00'

ექსპერტთა ჯგუფის წევრები სახელი, გვარი, ხელმოწერა

ქეთევან თოდაძე 

ეკატერინე კვირიკაშვილი 

ანჟელა აბულაძე 